სსიპ განათლების ხარისხის
განვითარების ეროვნული
ცენტრის დირექტორი

22/04/2025

MES 7 25 0000431728

ბრძანება

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის პროფესიული მომზადების პროგრამის "ტვირთების გადაზიდვის კონტროლის სპეციალისტი" ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციის თაობაზე

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტის 2025 წლის 22 აპრილის №426901 სამსახურებრივი ბარათის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის N131 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული ,,პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების'' მე-12 მუხლის მე-6 და მე-8 პუნქტის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 26 მარტის N59/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის შემუშავებისა და დამტკიცების წესის'' მე-2 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის N89/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების'' მე-5 მუხლის პირველი პუნქტის ,,ნ'' ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დარეგისტრირდეს პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის ელექტრონულ სისტემაში ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის (ს/კ:402019917) პროფესიული მომზადების პროგრამა "ტვირთების გადაზიდვის კონტროლის სპეციალისტი" **(დანართი)**.

2. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი მარგიშვილი ლაშა

დანართი

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
02294	ტვირთების გადაზიდვის კონტროლის სპეციალისტი	პროფესიული მომზადება	მეოთხე	8	ქართული	40	ქ. თბილისი, თემქის დასახლება, მე-11 მ/რ მე-3 კვარტ. ნაკვეთი 01/10

დამტკიცებულია

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის

კოლეჯის დირექტორის

2025 წლის 20 თებერვლის

ბრძანებით N39

.....

RTC სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი

1. ზოგადი ინფორმაცია პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება: ტვირთების გადაზიდვის კონტროლის სპეციალისტი
პროგრამის სახე: ☒ პროფესიული მომზადება ☐ პროფესიული გადამზადება
ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე: ☐ 2 ☐ 3 ☒ 4 ☐ 5
პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 8
კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: 20

მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში:

მინიმალური 5 მაქსიმალური 10

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება

პროგრამის მიზანი: მსმენელებმა შეისწავლონ სატრანსპორტო ლოგისტიკურ ჯაჭვში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რგოლის, ტვირთების გადაზიდვის კონტროლის ძირითადი მექანიზმები. გაეცნონ ტვირთის და სატრანსპორტო საშუალებების მონიტორინგის სისტემებს, მიკვლევადობისთვის საჭირო ელექტრონული მოწყობილობებისა და საკომუნიკაციო საშუალებების ტექნიკურ მახასიათებლებს, ტრანსპორტირების გრაფიკის შედგენის, მისი შესრულების კონტროლის წესებსა და მეთოდებს, ტვირთის დაზღვევის სახეებსა და პირობებს, ასევე რეკლამაციების დამუშავების მეთოდებსა და ადმინისტრირების წესს, ტვირთის შეფერხების პრევენციული ღონისძიებების ჩატარების თანმიმდევრობას.

პრაქტიკული ცოდნა მიიღონ ტვირთისა და სატრანსპორტო საშუალებების მიკვლევადობაში, მომხმარებელთან და სადაზღვევო კომპანიებთან კომუნიკაციის მართვაში, ტვირთების გადაზიდვის შეფერხების შემთხვევაში საინფორმაციო საშუალებების გამოყენებაში, მძღოლების სამუშაო გრაფიკის შესრულების კონტროლსა და სადაზღვევო დოკუმენტაციის მომზადებაში.

მოკლევადიანი პროგრამის ფარგლებში, მსმენელები შეიძენენ ტვირთის გადაზიდვის კონტროლის სპეციალისტისთვის საჭირო ყველა აუცილებელ უნარს და საბაზისო ცოდნას, საჭიროს შრომის ბაზარზე დასაქმებისთვის.

სწავლის შედეგები (რომელიც აღინიშნება ცოდნით ან/და უნარით ან/და კომპეტენციით)

1. **ტვირთისა და სატრანსპორტო საშუალებების მიკვლევადობა;**
2. **სადაზღვევო დოკუმენტაციის შედგენა.**

პროგრამის შემუშავების საფუძველი:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა: ტვირთების ექსპედირება

მოდულები:

1. ტვირთების გადაზიდვების კონტროლი

პროგრამის მოკლე აღწერა: ტვირთების გადაზიდვების კონტროლი პროფესიული მომზადების პროგრამა ითვალისწინებს სფეროში არსებული კადრების მომზადებას დროის მოკლე პერიოდში. პროგრამა შემუშავებულია შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად და უზრუნველყოფს აღნიშნული მიმართულებით საჭირო უნარებისა და კომპეტენციების შეძენას და გაუმჯობესებას, რაც საჭიროა კვალიფიციური ტვირთების გადაზიდვის კონტროლის სპეციალისტისთვის მომზადებისთვის. წარმოდგენილი პროფესიული მომზადების პროგრამის ხანგრძლივობაა 8 კვირა და 160 საათი, ხოლო კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა შეადგენს 20 საათს. პროგრამაზე ჩარიცხულ მსმენელს დახვდება მატერიალური თუ საბიბლიოთეკო რესურსითა, სრულად აღჭურვილი სასწავლო დაწესებულება და პროგრამას შეასწავლიან მრავალწლიანი გამოცდილების კვალიფიციური განმახორციელებელი პირები.

პროგრამაზე სწავლა შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, რომელსაც ექნება სრული ზოგადი განათლება. პროგრამის წარმატებით დასრულებისა და სწავლის შედეგების სრულად დადასტურების შემთხვევაში კურსდამთავრებული მიიღებს სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სერტიფიკატს.

2. პროგრამის შინაარსი

სასწავლო კვირა	თემატიკა	თემატიკის შესაბამისი სწავლის შედეგების ნომრები	კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა	სწავლების მეთოდი/ები	შეფასების მეთოდი/ები	სასწავლო გარემო
1	• ტვირთის და სატრანსპორტო საშუალებების მონიტორინგის სისტემები; • ტვირთისა და სატრანსპორტო საშუალებების მიკვლევადობისთვის საჭირო ელექტრონული მოწყობილობების და	1	20	ლექცია, პრაქტიკული დავალება	პრაქტიკული დავალება	A, C

	საკომუნიკაციო საშუალებების ტექნიკური მახასითებლები;					
2	• მიკვლევადობის საშუალებების გამოყენების მეთოდები და ექსპლუატაციის წესები; • ტრანსპორტირების გრაფიკის შედგენა და გრაფიკის შესრულების კონტროლის წესები/მეთოდები;	1	20	ლექცია, პრაქტიკული დავალება	პრაქტიკული დავალება	A, C
3	• ტრანსპორტირების გრაფიკის შედგენა და გრაფიკის შესრულების კონტროლის წესები/მეთოდები; • მძღოლების სამუშაო გრაფიკის კონტროლის წესები/მეთოდები.	1	20	ლექცია, პრაქტიკული დავალება	პრაქტიკული დავალება	A, C
4	• რეკლამაციების ადმინისტრირების და დამუშავების მეთოდები/წესები. • ტვირთის გადაზიდვის შეფერხების პრევენციული ღონისძიებები; • საინფორმაციო საკომუნიკაციო საშუალებები.	1	20	ლექცია, პრაქტიკული დავალება	პრაქტიკული დავალება	A, C
5	• ტრანსპორტირების დაზღვევის სახეობები და პირობები; • გადამზიდავის პასუხისმგებლობა.	2	20	ლექცია, პრაქტიკული დავალება	პრაქტიკული დავალება	A, C
6	• გადამზიდავის პასუხისმგებლობა; • სადაზღვეო პირობების და რისკების კომუნიკაციის მეთოდები მომხმარებელთან.	2	20	ლექცია, პრაქტიკული დავალება	პრაქტიკული დავალება	A, C
7	• სადაზღვეო პირობების და რისკების კომუნიკაციის მეთოდები მომხმარებელთან; • სადაზღვევო კომპანიებთან კომუნიკაციის მართვა;	2	20	ლექცია, პრაქტიკული დავალება	პრაქტიკული დავალება	A, C

8	• სადაზღვევო დოკუმენტაცია; • ტვირთის დაზღვევის ტიპის პირობების შესაბამისად სადაზღვევო მოთხოვნის შედგენის წესები.	2	20	ლექცია, პრაქტიკული დავალება	პრაქტიკული დავალება	A, C

3. პროგრამის თავსებადობა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, რომელსაც ეფუძნება პროფესიული მომზადების/პროფესიული მომზადების პროგრამა „ტვირთების ექსპედირება“	
მოდულის სახელწოდება და საიდენტიფიკაციო კოდი	სწავლის შედეგის დასახელება და რიგითი ნომერი
ტვირთების გადაზიდვების კონტროლი - 04.2.1.6	1. ტვირთისა და სატრანსპორტო საშუალებების მიკვლევადობა; 2. სადაზღვევო დოკუმენტაციის შედგენა.